UDC 930.26:56.02
SCOPUS CODE 1204
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-22-30

ჭობარეთის დასახლების არქეოლოგიური გათხრების შედეგების არქიტექტურული კვლევა

ნინო იმნაძე არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ᵃ
E-mail: n.imnadze@gtu.ge

ზელა თინიკაშვილი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ᵃ
E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. ქოჩლაძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: qochladzenatia06@gtu.ge

ბ. ტატიშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი
E-mail: vistat@mail.ru

ანოტაცია. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და კვლევებმა დაგვანახა ჩვენი მდიდარი და უძველესი ისტორიული წარსული. ყოველი ახალი აღმოჩენა ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის წვლილი ცივილიზებული სამყაროს განვითარებაში დიდია მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით, ლითონის წარმოებით, მევენახეობა-მეღვინეობით და, რა თქმა უნდა, მშენებლობის ტექნოლოგიების ჩამოყალიბებით. ყოველივე ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მდგრად მომავალსა და იდენტობას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არქეოლოგიური გათხრების შედეგების კვლევა. განხილულია სოფელ ჭობარეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამოსახლო კომპლექსისა და საცხოვრებელი სახლის დაგეგმარების თავისებურების კვლევა. დასახლება მიეკუთვნება მტკვარ - არაქსის კულტურას. არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებზე დაყრდნობით, ვიზუალური დაკვირვებითა და ანაზომების საფუძველზე ჩვენ

მიერ გრაფიკულად აღდგენილ იქნა დასახლების გენგემა და საცხოვრებელი სახლის სივრცულ - დაგეგმარებითი სტრუქტურა.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჭობარეთის დასახლების სივრცულ - მოცულობითი სტრუქტურა დახრილ ფერდობზე ტერასულადაა გაშენებული. საცხოვრებელი სახლი კი ტიპოლოგიურად მესხური ბანიანი სახლის პროტოტიპია. თუმცა ბუნებრივ - კლიმატურმა პირობებმა და გამოყენებულმა ადგილობრივმა სამშენებლო მასალამ გარკვეული გავლენა მოახდინა სივრცულ - დაგეგმარებით სტრუქტურაზე, სადაც იკვეთება ენერგოეფექტური მიგნებები, რომლებსაც ადამიანებმა დროთა განმავლობაში ბუნებაზე დაკვირვებით და გამოცდილებით მიაგნეს. ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს ენერგოეფექტური პრინციპები, რომელიც დღეს აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია; ენერგოეფექტურობა; ტერასული განაშენიანება; ჭობარეთი.

შესავალი

ადამიანებს ყოველთვის აქვთ სურვილი, შეისწავლონ თავისი წარმომავლობა და კულტურა. «აწმყო — შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა» (ციტატა გ.ლაიბნიცის). კულტურული ფესვებისა და ტრადიციების შესწავლა მნიშვნელოვანია საზოგადოების გაძლიერებისა და განვითარებისთვის. არქეოლოგია კი ის მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს და მის განვითარებას მატერიალურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. იკვლევს მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენებს, ქალაქების აღზევებას ან ცივილიზაციების დაშლის მიზეზებს, სოფლის მეურნეობის სახეობებს, პირველი დასახლებების ნიმუშებს და მათი განვითრების ეტაპებს, საცხოვრებელი სახლების აგების ტრადიციას. ამრიგად, არქეოლოგია მთავარ როლს ასრულებს კაცობრიობის ისტორიის გაგებაში, საშუალებას გვაძლევს შევეხოთ წარსულს, გავიგოთ თუ რა ადგილი ეკავა ამ პროცესების დროს ჩვენს ქვეყანას კულტურისა და სოციალური სტრუქტურების განვითარებაში.

საქართველო მდიდარი ისტორიული წარსულით გამოირჩევა. აქ ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კერა შექმნა. საქართველო ღვინის სამშობლოა, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ნაკვალევია აღმოჩენილი. ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში დაიწყო. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში, „გადაჭრილ გორასა“ და „დანგრეულ გორაში“ აღმოჩენილი ძეგლები. აქ დამკვიდრებულმა ტომებმა თავისი წვლილი შეიტანეს ლითონების წარმოების საქმეშიც. ქართველმა ხალხმა ადრე დაიწყო სვლა ცივილიზებული ცხოვრების გზაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის შესწავლა და დაცვა.

ჩვენი მიზანია მტკვარ - არაქსის კულტურის კვალის აღმოჩენა სოფელ ჭობარეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე დაყრდნობით, კერძოდ სამოსახლო დასახლებისა და საცხოვრებელი სახლის ტიპის დადგენა, რაც პირდაპირ კავშირშია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების ყოფა - ცხოვრებასთან. საკითხი აქტუალურია, რადგან გადმოცემით ცნობილია, რომ

არსებობდა გარკვეული განსხვავება სხვა დასახლებებთან შედარებით. ასევე კვლევა დაგვეხმარება ქართული საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიის დადგენაში. თემა სიახლეა, რადგან აქამდე არ განხორციელებულა არქეოლოგიური გათხრების შედეგების არქიტეტურული შედარებითი ანალიზი.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს დროიდან სახლდება ადამიანი, ეგუება ბუნებრივ - კლიმატურ და გეოლოგიურ პირობებს და იქმნება ცივილიზაცია, რომლის კვალმაც ჩვენამდე მოაღწია. ნეოლითის ხანიდან იწყება საქართველოში საცხოვრებელი სახლის ტიპების ჩამოყალიბება და განვითარება. ადამიანი ქმნის თვითმყოფად არქიტექტურას, კულტურას და შენების ტრადიციებს.

2009 წელს სოფელ ჭობარეთის სატიკნის გორაზე, ახალციხე-ასპინძის მაგისტრალური გაზსადენის გაყვანის დროს, არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინეს, რომელიც მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარს, ადრე ბრინჯაოს ხანას. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი, ქვის საფქვავები, ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველებსა და უცხოელ მეცნიერებს შორის.

არქეოლოგიური ძეგლი საინტერესოა არა მხოლოდ იქ აღმოჩენილი არტეფაქტებით, არამედ განაშენიანების სტრუქტურით (სურ.1) – ტერასული ბანიანი სახლებით (სურ.2), ერთი ნაგებობის ბანი გზაც იყო და ეზოც. ნამოსახლარი დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე ვრცელდებოდა, ხოლო სიგანე 150 მეტრამდე აღწევდა. მეცნიერთა აზრით იგი იმ დროისთვის ერთ-ერთი დიდი დასახლებაა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ წინა აზიაშიც. ორ ბორცვზე სტრატეგიულ ადგილასაა გაშენებული – მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

სურ. 1. სოფ. ჭობარეთის ნამოსახლარის არქეოლოგიური რეკონსტრუქცია - 2009 წ.
(გრაფიკული რეკონსტრუქცია შესრულებული გაბო ღაჭავას მიერ).
რესურსი: https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=20070

სურ. 2. სოფ. ჭობარეთის ნამოსახლარის არქეოლოგიური რეკონსტრუქციის ფრაგმენტი - 2009 წ.
(გრაფიკული რეკონსტრუქცია შესრულებული გაბო ღაჭავას მიერ).
რესურსი: https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=20070

დასახლებისთვის შერჩეულ ჩრდილო - სამხრეთის ღერძზე რელიეფი სამხრეთ მიმართულებით დაბლდება. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ასეთი განლაგება მზის გამოყენების საშუალებას აუმჯობესებდა. ჩრდილოეთის მხრიდან სახლები მიწაშია ჩასმული, სამხრეთის მიმართულებით კი კედლები და შესასვლელები ისეა განლაგებული, რომ საცხოვრებლად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა (სურ. 3). სახლები ნაგებია ქვის მშრალი წყობით, ნაგებობის კედლები კუთხეებთან მომრგვალებულია, ოთახს მოტკეპნილი მიწის იატაკი აქვს (სურ. 4). ნაგებობები სხვადასხვა დანიშნულების იყო (სურ. 5): სამეურნეო და საცხოვრებელი. სამეურნეო ნაგებობაში ხორბლის მარცვლის ოთხი სახეობაა აღმოჩენილი, ასევე საკვების შესანახი სამეურნეო ორმოები, საფქვავის მრგვალი ქვები და ჭურჭელი. საცხოვრებელ ოთახებს საინტერესო ინტერიერის ელემენტი აქვს - ჩრდილოეთის კედელს მოჰყვება მეტრ-ნახევარი სიგანის 60 სმ შემაღლებული ბაქანი (სურ. 6). აქ აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთ-ერთი დიდი ოთახის სიგრძე 17 მეტრამდეა, ხოლო სიგანე – 4,5 მეტრი. გადახურვა ბანურია, რაც კუთხეებში შემორჩენილი ძელის ჩასასმელი ადგილებით ჩანს. დამჭერ ბოძებად ხის ძელებს იყენებდნენ. საინტერესოა იქ აღმოჩენილი თიხის ფართობორტებიანი წრიული ფორმის კერია, სადაც შუაცეცხლი ენთო.

სურ.3. ბანიანი საცხოვრებელი სახლი, გრაფიკული რეკონსტრუქცია

სურ. 4. სახოვრებელი სახლის ორთოფოტო/ფიქსაცია, შესრულებული არქეოლოგების მიერ



სურ. 5. საცხოვრებელი სახლის გეგმა
(აღმოჩენილი ნანგრევების და ანაზომების მიხედვით, გრაფიკულად შესრულებული ბ. თინიკაშვილის მიერ)

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

სურ. 6. საცხოვრებელი სახლის ინტერიერის გრაფიკული რეკონსტრუქცია

ჭობარეთის ნამოსახლარის დაგეგმარება რომ შევადაროთ ამავე პერიოდის ადრე ბრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლოებს, მაგალითად ქვაცხელებს (აღმოჩენილი 1953-1964 წელს), ბევრ საერთოს ვნახავთ. ქვაცხელებში სახლების ასაშენებლად ფერდობს ირჩევენ. დასახლებას ტერასული განლაგება ჰქონდა და საცხოვრებელი სახლები ერთმანეთთან მჭიდროდ, გვერდიგვერდ იყო განლაგებული. სახლები ალიზის მომრგვალებული ფორმის აგურით არის აგებული. საცხოვრებელი სახლი შედგება ოთახისა და სამეურნეო-საოჯახო დერეფნისაგან. აქაც საცხოვრებელი სახლების უმნიშვნელოვანესი ადგილი ცენტრალური კერიაა, თუმცა ჩნდება დედაბოძი და მის გარშემო განვითარებული გარემო. ასევე, ჭობარეთის ნამოსახლარის საცხოვრებელ ოთახში განსაკუთრებული დანიშნულება აქვს კერიის უკან, კედლის გასწვრივ მოწყობილ შემაღლებას. მეცნიერების აზრით, ამ შემაღლებას საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა, სადაც დალაგებული იყო სხვადასხვა ჭურჭელი და გადასატანი კერიები (სურ. 7). აღსანიშნავია, რომ კერიისა და სამეურნეო ორმოს წრიული დიამეტრი 40 სანტიმეტრია, სავარაუდოდ დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო რიტუალთან.

სურ. 7. კერია და სამეურნეო ორმო

ჭობარეთში აღმოჩენილი ჭურჭელი (სურ.8), თიხის კერიები და სხვა არტეფაქტები რესტავრაციის შემდეგ გადატანილია რაბათის მუზეუმის დარ–-ბაზში.

სურ. 8. ჭობარეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი

საქართველოს ტერიტორიაზე ჭობარეთის მსგავსი დასახლებებია: ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გუდაბერტყა.

იმ პერიოდში მოსახლეობას კავშირი ჰქონდა სხვა ქვეყნებთან, რასაც ადასტურებს ჭობარეთში აღმოჩენილი მცირე ზომის ქვის საბეჭდავი და ჭურჭლის ნატეხები, რაც, მეცნიერების აზით, წინა აზიიდან იქნებოდა შემოტანილი. ყოველი არქეოლოგიური აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების ყოფა, ჩავიხედოთ წარსულში და ვიპოვოთ კავშირი დღევანდელობასთან, დავინახოთ პროცესების უწყვეტობა.

დასკვნა

ეპოქები და ცივილიზაციები ერთმანეთს ცვლიდა და ხშირად მხოლოდ უმნიშვნელო კვალს ტოვებდა. აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტებით, კვლევებით ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა და პასუხი გაეცა საინტერესო კითხვებს: როგორი იყო წინაპრების საინჟინრო აზროვნება, რა კონსტრუქციებს და სამშენებლო მასალებს იყენებდნენ საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის დროს, როგორ ეგუებოდნენ კლიმატურ პირობებს, რომელმა არქიტექტურულმა ელემენტმა გაუძლო დროს და მოაღწია ჩვენამდე. ასევე ადგენს უძველესი

პერიოდის ადამიანის ყოფა-ცხოვრებას და ჩვენამდე მოღწეულ ტრადიციებს, კულტურას და ადასტურებს საქართველოს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ჭობარეთის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დასახლება და საცხოვრებელი სახლი ავლენს მტკვარ - არაქსის კულტურის სპეციფიკას, რომელიც გარკვეულწილად აგრძელებს მესხური საცხოვრებელი სახლის ტიპს, თუმცა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებით, რაც ხაზს უსვამს მტკვარ-არაქსის არეალის ყოფა-ცხოვრებას. აღნიშნული მკაფიოდ გამოჩნდა შედარებითი ანალიზით. სამშენებლო მასალად ჭობარეთში გამოიყენებოდა ადგილობრივი ქვა, ქვაცხელებისგან განსხვავებით, რაც განპირობებულია ბუნებრივი კლიმატური პირობებით. ქვის გამოყენებამ გავლენა მოახდინა დაგეგმარებით სტრუქტურასა და სივრცულ-მოცულობით წყობაზე. მიღებული შედეგები საყურადღებოა მომავალში მდგრადი არქიტექტურის განვითარებისათვის და ენერგოეფექტური პრინციპების დასადგენად.

ლიტერატურა

1. Gamkrelidze, G. (2021). Georgian Archaeological Essays. Otar Lortkipanidze Archaeological Research Institute of the Georgian National Museum. Iberia-Colkheti, N 16, Supplement, I.
2. Kipiani, G. (2002). Meskhetian Housing. Tbilisi.

UDC 930.26:56.02
SCOPUS CODE 1204
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-22-30

Architectural Research the Results of Archaeological Excavations of the Chobareti Settlement

Nino Imnadze Department of Architecture, Urban Planning and Envarmoment Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: n.imnadze@gtu.ge

Bela Tinikashvili Department of Architecture, Urban Planning and Envarmoment Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

Reviewers:

N. Qochladze, Faculty of Architecture, Urban Planning and Envarmoment Design, assoc. Professor, GTU
E-mail: qochladzenatia06@gtu.ge

B. Tatishvili, Faculty of Architecture, Urban Planning and Envarmoment Design, invited assoc. Professor, GTU
E-mail: vistat@mail.ru

Abstract. Numerous of the archaeological excavations and research conducted on the territory of Georgia have revealed our rich and ancient historical past. Each new discovery demonstrates that our country's contribution to the development of the civilized world is great: With agriculture, livestock farming, metal production, viticulture and winemaking, and of course construction technologies. Everything confirms the sustainable future and identity of our country.

Therefore, it is important to reserch the results of archaeological excavations. The aim of this article is to reserch the specifics of the Mtkvari-Araks culture discovered as a result of archaeological excavations of the Chobareti village complex. Based on the results of the archaeological expedition, visual observations and measurements, the settlement layout and spatial-planning structure of the dwelling were graphically reconstructed.

As a result, it was revealed that the spatial-volumetric structure of the Chobareti settlement is built in a terraced manner on a mountain slope. The residential house typologically represents the prototype of a Meskhetian house – „Baniani sachli". However, natural-climatic conditions and used local building materials were influenced on the spatial-planning structure, here we can see energy-efficient principles. Which people have discovered over time through observation and experimentation on nature. Thus, based on the obtained results, it is possible to develop energy-efficient principles, which are relevant today.

Keywords: Archeology; Chobareti; Energy efficiency; Terrace development.

განხილვის თარიღი 10.12.2024
შემოსვლის თარიღი 18.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025